ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

8 (9995) • 26 Tebervali • 2013 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

„დადგა დრო, რომ „ნაციონალები“ წავიდნენ“

მარი კოძოევი

ლაითურის ცენტრში ხალხმრავალი აქცია გაიმართა. გზის, ავარიული ხიდის აღდგენა, წყლისა და გაზის მიწოდება, მიწების დაბრუნება, რომლებიც უკვე ებრაელ ინვესტორებს ეკუთვნით – ეს ის მოთხოვნებია, რომლებიც ლაითურლემა ოზურგეთის გამგებელს კოტე შარაშენიძეს გააცნეს.

მიტო სირაძე: – ყველაზე საჭარო წყლის მიწოდება და გზის შეკეთებაა. ადამიანი ავად რომ გახდება სასწრაფო ვერ ამოდის. ბოლო რამდენიმე თვეში სამი ადამიანი დაიღუპა იმის გამო, რომ ექიმი დროზე ვერ მივაშველეთ.

მიტუშა გიორგაძე: – გადახედეთ რა დღეშია აქაურობა. საცხოვრებელ სახლებს დროზე თუ არ მივხედეთ ორ წელიწადში დაინგრევა. სკოლაც საშინელ მდგომარეობაშია, ბავშვებს სახლიდან მიაქვთ შეშა, ცეცხლი რომ დაანთონ.

ნუგზარ თავდგირიძე: – თუ ხიდის აღდგენა მალე არ მოხდება, საერთოდ უნდა დაინგრეს, თორემ მძღოლები სახდახან დაუდევრობას იჩენენ, ავარიულ ხიდზე გადადიან, რაც ძალიან საშიშია. ხიდი ნებისმიერ წუთს შეიძლება ჩაინგრეს. მძღოლი ვარ და ამ საკითხში კარგად ვერკვევი. პირველად რომ დაზიანდა, მაშინ მე გადავდიოდი ხიდზე, გამიმართლა, რომ გადავრჩი.

ლეილა მექვაშვილი: – მიწები თუ არ დავიბრუნეთ, საბოსტნეებიც არ გვაქვს. მიწა თუ არ დავამუშავე თავი რითი ვირჩინო, პენსიის ასაკის ჯერ არ ვარ. ასევე აუცილებლად უნდა აღდგეს ხიდი. **რაც მთავარია, დადგა დრო, რომ „ნაციონალები“ წავიდნენ. „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში ჩვენი წვლილიც არის. იმის გამო, რომ ოცნების მხარდამჭერი ვიყავი ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატი კობა ხაბალაშვილი ხელი შემეხო..**

გამგებელმა განაცხადა, რომ ლაითურის რწმუნებული მარტის პირველ ნახევარში შეიცვლება, შარაშენიძე აღნიშნავს, რომ უკვე არის რამდენიმე კანდიდატურა, მათგან რწმუნებულის არჩევა სოფლის აქტივთან შეთანხმებით მოხდება.

კოტე შარაშენიძემ ადგილობრივებს პირობა მისცა, რომ რვა კილომეტრიანი ლაითური-ნარუჯანასეულის გზის მონაკვეთის შეკეთება უახლოეს დღეებში დაიწყება.

–გზის მოწესრიგებას დიდი თანხები სჭირდება. ამას ჩვენი ბიუჯეტი არ ეყოფა. ამიტომ სამინისტრომ უნდა დაგვეხმაროს–აღნიშნა მან, თან მოსახლეობას ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელი და შპს გზამშენი-18-ის ხელმძღვანელი, თემურ ჯახვა წარუდგინა.

კოტე შარაშენიძე: –ყველა პრობლემა ერთ დღეში არ მოგვარდება, მაგრამ პროცესი მალე დაიწყება. მე იმედი მაქვს უახლოეს დღეებში იგრძნობთ, რომ ლაითურს ყურადღება ექცევა. რაც შეეხება გასხვისებული მიწებს, პირობას ვერ გაძლევთ, რომ მიწები უკან დაგიბრუნდებათ. ეს წმინდა სამართლებრივი საკითხია.

„პროცესი დაწყებულია და საჭიროა ამ საკითხებში უფრო ღრმად ჩახედვა“

ნინო ნიკოლაიშვილი



დღის წესრიგით განსახილველი 10 საკითხიდან ძირითადად მესამემ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა საკრებულოს სხდომაზე, რომელიც 20 თებერვალს გაიმართა. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ავთანდილ მექვაბიშვილი,** რომელიც იმავდროულად სხდომის თავმჯდომარეც გახლდათ, თავიდანვე შეეცადა თავაზიანი დიალოგებითა და მიმართვებით განემუხტა მოსალოდნელი დაძაბული სიტუაცია. რისი გაგრძელებაც იყო ასევე ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ლევან ნინიძის ემოციური გამოსვლა. მცდელობამ გაამართლა და თუ არ ჩავთვლით რამდენიმე რეპლიკას, საკრებულოს სხდომა ურთიერთთანამშრომლობის რეჟიმში წარიმართა.

მესამე საკითხი, რომელიც შეეხებოდა ა(ა)იპი-ების „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების საინფორმაციო ანალიტიკური და მეთოდური დახმარების ცენტრის“ და „გომისმთის“ ლიკვიდაციის პროცესის დაწყებას, სხდომაზე განსახილველად **ლევან ნინიძემ** შეიტანა.– მიმაჩნია, რომ შეცდომა იყო რამდენიმე ა(ა)იპი-ს შექმნა. რაც შეეხება გომისმთას, მისმა გაუქმებამ შეიძლება უკუშედეგიც გამოიწვიოს. რადგან ეს ტერიტორია პრობლემურია და როცა მას ტოვებ, იკავებს სხვა, მაგრამ ლიკვიდაცია ამ შემთხვევაში არ ნიშნავს ამ ადგილის უპატრონოდ დატოვებას. ის ფუნქცია, რომელიც ამ ორგანიზაციას ეკავა, გადანაწილდება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. აქვე უნდა შეიქმნას ის მექანიზმი, რომელიც იქ ჩართულ ადამიანებს დაასაქმებს.

– მაშინ რატომ აუწიეთ ხელი ამ საკითხის მიღებას 2 წლის წინ, როდესაც მე ვაპროტესტებდი ამდენი გაურკვეველი ა (ა)იპი-ს შექმნას? მიმართა კითხვით დეპუტატმა **ლელა ნაცვალაძემ** და კიდეც აღნიშნა, რომ ისინი ძირითადად წინასაარჩევნოდ შეიქმნა ხმათა მოსაგროვებლად. მანვე სხდომაზე წარმოადგინა „გომისმთის“ დოკუმენტაცია, რაზედაც მექვაბიშვილისგან მიიღო პასუხად – მარტო იმიტომ არის გასაუქმებელი, რომ ასეთი დოკუმენტების დედანი გადმოგცათ თქვენ.

ნაცვალაძის მეორე კითხვა შერჩევით გაუქმებას შეეხო. მე არ ვსაუბრობ, რომ ამდენი ა(ა)იპი საჭიროა, პირიქით, თავიდანვე ვაპროტესტებდი მათ შექმნას, მაგრამ რატომ ხდება შერჩევით გაუქმება. რატომ არ განიხილავს საკრებულო სოფლის მეურნეობის და კულტურის ცენტრის არამიზნობრივი შტატების შექმნას და თანხების განკარგვას.

ლევან ნინიძის თქმით, ის მართალია, პროცესი დაწყებულია და საჭიროა ამ საკითხებში უფრო ღრმად ჩახედვა.

საია-ს ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელმა **თამაზ ტრაპაიძემ** ა(ა)იპი-ების შექმნის მიზეზი ახსნა. – როცა სახელმწიფომ უარი თქვა ზოგიერთ სამსახურზე, მაგრამ ის სჭირდებოდა მუნიციპალიტეტს, საჭირო გახდა რაღაც ფორმით მათი შენარჩუნება და სწორედ ამიტომ შეიქმნა ზოგიერთი ა(ა) იპი, მაგრამ მერე ამან მიიღო საეჭვო ფორმა და შედეგიც სახეზე გვაქვს. როცა იყო სოფლის მეურნეობის სამსახური, რა საჭირო იყო შესაბამისი ა(ა)იპი-ს შექმნა, ასეთი საკმაოდ ბევრია. აუცილებელია ამ საკითხების გადახედვა და რეორგანიზაცია.

– გეთანხმებით, რომ გადასახედი და შესასწავლია ეს საკითხები, მაგრამ მათ შექმნაზე თავიდანვე საკმაოდ დიდი ფული დაიხარჯა, დაახლოებით ნახევარ მილიონ ლარზეა საუბარი, და მაშინ, როდესაც ჩვენს მუნიციპალიტეტს საკმაოდ მწირი ბიუჯეტი აქვს და ადამიანებს ასე უჭირთ, ვინ იღებს პასუხისმგებლობას ამდენი თანხის ხარჯვაზე?

დეპუტატ **დიმიტრი კვერელიძის** ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შეეცადა დეპუტატი ავთანდილ სურგულაძე, რომელმაც ამ გამოსვლისთვის მექვაბიშვილის შენიშვნა დაიმსახურა. – ფაქტიურად ეს ფული მახინჯი ფორმით მოხმარდა სოციალურ სფეროს. ანუ დაიხარჯა იმ ადამიანთა ხელფასებზე, რომლებიც იქ იყვნენ დასაქმებულნი (?!).

ავთანდილ მექვაბიშვილი კოლეგის გამოსვლის გამოსწორებას შეეცადა და შესაბამისი არგუმენტების წარმოდგენით ახსნა, რაში და რატომ დაიხარჯა დასახელებული თანხა, თუმცა მისივე განმარტებით, შეცდომები ნამდვილად იყო, რაზედაც, ისევე როგორც წარმატებებზე, საკრებულოს წევრები ვერ გაექცევიან პასუხისმგებლობას. მისივე თქმით, არის მთელი რიგი საკითხები, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი მხარისთვის, რაზედაც ყველა ადამიანების აქტიურობა არის აუცილებელი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭისყრის დროს მხარი არ დაუჭირეს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა, თუმცა უმრავლესობით (23 ხმით) საკითხი დამტკიცდა. ხმა არ მისცეს შალვა თავდიშვილმა, ავთანდილ ნემსაძემ, ლელა ნაცვალაძემ.

სხდომაზე დაადგინეს მუნიციპალიტეტში არსებული სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი ლარში. ქალაქის ცენტრალური ზონა - 1კვ.მ. 5,9904; ქალაქის შუალედური ზონა- 1,9968; ქალაქის პერიფერიული - 1,7472; მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის - 0,5990; დაბისთვის - 0,9984; დასახლებათა შორის არეალებში -0,4992.

ღია დაპირისპირება „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციაში

ნუგზარ ასათიანი

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარე ტიფო მიქატაძემ ჟურნალისტებთან პრესკონფერენცია გამართა, რომლის თემა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ კოტე შარაშენიძის მიერ კოალიციურ რეჟიმში მუშაობის უგულვებელყოფის ბრალდებებს შეეხებოდა.

– მოგეხსენებათ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაიწყო საკადრო ცვლილებები. ეს ეხება სოფლად გამგებლის რწმუნებულებს, აპარატის თანამშრომლებს და მას ახორციელებს გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კოტე შარაშენიძე. საზოგადოებამ მინდა იცოდეს, რომ მიმდ-

გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

26 თებერვალი ორშაბათი	27 თებერვალი სამშაბათი	28 თებერვალი ოთხშაბათი	1 მარტი ხუთშაბათი	2 მარტი პარასკევი	3 მარტი შაბათი	4 მარტი კვირა
მზე, ღრუბელი, +9+16	მზე, ღრუბელი, +11+19	მზე +11+20	წვიმა +7+14	წვიმა +6+10	მზე, ღრუბელი +8+12	მზე, ღრუბელი +6+11

ღია დაპირისპირება „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციაში

ინარე საკადრო ცვლილებები არ არის შეთანხმებული კოალიციაში შემავალ პარტიებთან. ის გახლავთ, უმეტეს შემთხვევაში, ერთი კაცის, კოტე შარაშენიძის ან მისი პოლიტიკური გუნდის ერთპიროვნული გადაწყვეტილებები, ცალკეულ შემთხვევაში კი, სხვა პარტიის წარმომადგენლის დანიშვნისას, გათვალისწინებულია მის მიმართ კოტე შარაშენიძის პერსონალური დამოკიდებულება ინდივიდუალურად და არა პარტიის საერთო პოზიცია.

მეტიც, მე გეტყვით ჩემს პარტიაზე. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, კოტე შარშენიძისა და მისი გუნდის მხრიდან მიმდინარეობს, არა თუ პოზიციების გაზიარება და თანამშროლობა, არამედ დაუფარავი აგრესია და ბრძოლა საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წევრებისა და მხარდამჭერების მისამართით.

ვთვლი, რომ დღეს ყოვლად მიუღებელია კოალიციაში შემავალი რომელიმე პოლიტიკური გუნდის ამ პიროვნების მხრიდან კოლექტიური თანამშრომლობის რღვევისა და დაპირისპირების გაღრმავების არათუ მიზანმიმართული საქმიანობა, არამედ მცდელობაც კი და იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნას აღკვეთილი.

რაც ყველაზე მთავარია, ეს ყველაფერი ნეგატიურად აისახება არა მხოლოდ პარტიების აქტივისტთა და მხარდამჭერთა განწყობებზე, მოლოდინებსა და მათ სამომავლო სამოქალაქო აქტივობებზე, არამედ მთელ საზოგადოებაზე. დამეთანხმებით, ასეთი მოქმედებები „ნაციონალური მოაძრაობის" წისქვილზე ასხამს წყალს და ჩვენ გვიჩენს საფუძვლიან ეჭვს ვიფიქროთ ასეთი ადამიანების არაკეთილ ზრახვებზე, მათი არა საჯარო ინტერესების გატარებასა და მსახურებაში, არამედ ჩვენ ოპონენტებთან და სხვა არაჯანსაღი ინტერესების მატარებელ ჯგუფებთან მათ კავშირებს და ასევე, არაჯანსაღ, ვიწროჯგუფური მიზნებისა და ამოცანების არსებობაში.

ჩვენ ამას ვერ დავუშვებთ. პასუხისმგებლობა გვაიძულებს ვთქვათ სიმართლე - მიუხედავად ჩვენი მხრიდან მუდმივი მცდელობისა, რომ დაწყებულიყო ინტენსიური თანამშრომლობა და კონსულტაციები კოალიციის შიგნით, კოტე შარაშენიძის დანიშვნიდან დღემდე მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ მოხერხდა შეხვედრა ისიც არასრული ფორმატით და იგი, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ემსახურებოდა „ბოლის გამოშვებას“ და არა რეალური შედეგების მიღწევის სურვილს.–განაცხადა ჟურნალისტებთან ტიფო მიქატაძემ.

ბრიფინგს ჟურნალისტებს გარდა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“შემავალი პარტიების რამდენიმე წარმომადგენელი და მოძრაობა „ერთსულოვნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის წევრებიც ესწრებოდნენ. „ერთსულოვნების“ თავმჯდომარე ლელა ნაცვალაძე და კოალიცია „ქართული ოცნების“წევრი ნუგზარ გიორგაძე ჩაერთვნენ პრესკონფერენციის მიმდინარეობის პროცესში და თავიანთი კრიტიკული დამოკიდებულება გამოხატეს გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მიმართ.

ამის შემდეგ ლელა ნაცვალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ნახევარი საათის შემდეგ კვლავ გააგრძელებდა თემას და პრესკონფერენციას გამართავდა ჟურნალისტებთან.

ჩვენ დღის ბოლოს ტიფო მიქატაძის და ლელა ნაცვალაძის ბრალდებებთან დაკავშირებით კითხვით მივმართეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს **კოტე შარაშენიძეს:**

–იცით, მე ჟურნალისტების კითხვებს არასდროს არ გავურბივარ. ხედავთ, როგორ რთულ პირობებში მიწევს მუშაობა. ამ დღეებში ვაპირებ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ განვლილი პერიოდის შედეგებზე ჟურნალისტებთან და საზოგადოებასთან ანგარიშით წარვდგე, სადაც ყველა მწვავე კითხვას გავცემ პასუხს–გვითხრა კოტე შარაშენიძემ.

კეჭაყმაძე ბიძინა ივანიშვილს მიმართავს

მარი კოკოევი

„ქართული ოცნების" მხარდამჭერმა, მინდია კეჭაყმაძემ, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, ჟურნალისტებს ბიძინა ივანიშვილისადმი საკუთარი მიმართვა გააცნო.

კეჭაყმაძე პრემიერს და მის გუნდს არჩევნებში გამარჯვებას ულოცავს და ამბობს, რომ იმედის თვალით უყურებს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ახალ ხელისუფლებას ურჩევს ახლოს არ გაიკაონ ისეთი ადამიანები, რომლებიც ერთი ხელისუფლებიდან მეორეში გადადიან და იკავებენ თანამდებობებს პირადი კეთილდღეობის მიზნით.

მინდია კეჭაყმაძე: –„ ბიუროკრატიული წრე მოქმედებს დღეს გურიაში, რომლებიც „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ხელმძღვანელებმა და ადგილობრივმა მთავრობამ ახლოს არ უნდა გაიკაროს, რადგან ადგილობრივმა მოსახლეობამ ძალიან კარგად იცის მათ მიერ ჩადენილი ყველა ბინძური საქმიანობა დღემდე.

დღესდღეობით რაიონში გამგებელი და ოცნების პარტიის თავმჯდომარე გახლავთ ბიძინა ივანიშვილის სახე და ამიტომ მათ ვთხოვ, თუ ასეთი ადამიანები გამოჩნდებიან ჩამოშორონ და კარგად დააკვირდნენ მათ საქმიანობას. რაიონს დიდი პოტენციალი გააჩნია ყველა სფეროში კადრების მხრივ. მაგ: ძალოვანი სტრუქტურის სფეროში კადრები სხვა რეგიონებიდან არ უნდა ჩამოყავდნენ, ისინი არ იცნობენ რაიონს და ვერ ართმევენ თავს მოვალეობებს"

აღნიშნულ სფეროში ღირსეულ კადრებად მერაბ აბაშმაძეს, ვიქტორ გობრონიძეს და ზურაბ ჩხაიძეს მიიჩნევს.

„მათ დიდი წვლილი მიუძღვით არჩევნებში გამარჯვებაში. პირადად ჩემთვის გასაგებია, რომ ოზურგეთი ჩაბარეს იმ ადამიანებს, რომლებმაც ლომის წვლილი გასწიეს ამ არჩევნებში და გაიმარჯვეს. ახლახან არჩეული გამგებელი ენერგიული და გამბედავი კაცია. მას პირადად ვიცნობ და ვიცი მისი მოღვაწეობა დღემდე. ახლახანს აირჩიეს „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ ბატონი დავით დარჩია თავისი დამსახურებით და ერთგულებით. მათ წარმატებას ვუსურვებ თუმცა უშეცდომო ქვეყნად არავინაა. მათ გვერდით დგომა და დახმარება დასჭირდებათ. რაიონში რაღაც კითხვები გაჩნდა და საჯაროდ უნდა გასცენ პასუხი რომ რაიმე უნდობლობა და ხიდჩატეხილობა არ გაჩნდეს მათსა და ხალხს შორის. ის გაუგებრობა რაც მოხდა რაიონული ორგანიზაციის არჩევისას იმსახურებს უფრო მეტ ყურადრებას ცენტრალური ოფისიდან. ვინაიდან მათ გარდა ამ პარტიაში უამრავი ენერგიული და ნიჭიერი ადამიანები მოღვაწეობდს და იბრძოდნენ გამარჯვებისთვის, ამიტომ პირადი წყენები ყველამ გვერდით უნდა გადადონ მათ ხალხი შეჰყურებს და გულის ტკივილს გამოთქვამენ. ის თანამდებობები დღეს დიდ ვაჟკაცობას და პროფესიონალიზმს მოითხოვს, რადგან შეცდომას მათ არავინ არ აპატიებს, ეს ყველამ უნდა გაიგოს და იცოდეს. ვინაიდან არჩევნები მოახლოებულია რაიმე გაუგებრობებს ადგილი არ უნდა ქონდეს, გამარჯვებას შენარჩუნება სჭირდება.

პასუხისმგებლობა მარტო მათზე არ ნაწილდება და ვინც ამ ბრძოლაში მიიღო აქტიური მონაწილეობა დავზარალდებით და მოხდება კატასტროფა. ისედაც გაუბედურებული მოსახლეობა შეცდომას არავის გვაპატიებს. შეგახსენებთ, რომ არჩევნებამდე საკაშვილის მონა-მორჩილი რეგიონის ყოფილი გუბერნატორი, დღესაც ვთვლი რომ მის მიმართ სერიოზული გამოძიება უნდა ჩატარდეს, რადგანაც მისი მოქმედება ყოველგვარ კანონის ჩარჩოებს სცილდებოდა ის იყო კრიმინალი და ისეთი პიროვნება დაასახელა ნაციონალებმა დეპუტატობის კანდიდატად ოზურგეთში და ძალისმიერი მეთოდებით ცდილობდა მოეპოვებინა გამარჯვება. მან საარჩევნო კამპანია ფულზე შიშზე და სიბინძურეზე ააგო და ამიტომაც ის დამარცხდა ოცნების კანდიდატ ზვიად კვაჭანტირაძესთან. ბატონი ზვიადის ირგვლივ გაერთიანდნენ რაიონში მოღვაწე ყველა პოლიტიკოსი და ავტორიტეტი, მრავალ არჩევნებში გამოცდილი ადამიანები და მათ შეძლეს გამარჯვება. მეგობრულად მას ვეტყვი, რომ გამარჯვებამ ის არ უნდა მოადუნოს და მისი მეგობრების თანამებრძოლების და უბრალო ამომრჩევლის ნდობა უნდა გაამართლოს და უფრო მეტი კომუნიკაცია უნდა ქონდეს ჩვენს რაიონთან. ხალხს ძალიან გვიჭირს და მან მთავრობის წინაშე პრინციპულად უნდა დააყენოს ყველა ის საჭირბოროტო საკითხები რაც რაიონს და მოსახლეობას სჭირდება, აი ეს არის ყველა რჩეული დეპუტატის მოვალეობა. იმედია ის მე ამისთვის არ მიწყენს და გაგებით მოეკიდება ჩემს შეხედულებას.

„პრობლემა ის ადამიანები არიან, რომლებიც არ ჩანან..“

ნუგზარ ასათიანი

ტიფო მიქატაძის პრესკონფერენციის შემდეგ დემოკრატიული ჩართულობის დარბაზი სამოქალაქო მოძრაობა „ერთსულოვნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე ლელა ნაცვალაძემ დაიკავა. მან მწვავე საკითხებზე ისაუბრა და საუბრის თემა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს კოტე შარაშენიძეს მიუძღვნა.

–საით მიექანება ოზურგეთი?–ასეთი კითხვა დასვა და თავადვე გასცა პასუხი. მან მთავარ შეცდომად კოტე შარაშენიძის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად საჭირო პროცედურების დარღვევით დანიშვნა დაასახელა და მათ ამას დროულად ვერ გამოეხმეურნენ და ვადებში ვერ „ჩავჯდნენ“ რომ გაეუქმებინათ საკრებულოს ეს გადაწყვეტილება. ასევე არასწორი იყო მის მიერ საკრებულოში „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლის გვერდის ავლით „ნაციონალებით“ დაკომპლექტებული ფრაქციის „ქართული ოცნება“ შექმნა. შემდეგ კი მეორე ფრაქციაც შექმნა.

– ცუდი ის არის, რომ ოზურგეთში პიროვნებებს არ სცემენ პატივს, სკამის მონები ხდებიან. ამის სრული მაგალითი კი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოა. ოზურგეთის 2013 წლის ბიუჯეტი ნაციონალების დაწერილია. კოტე შარაშენიძემ სარეზერვო ფონდში 200 ათასი ლარი ჩაწერა.

ლელა ნაცვალაძემ გააკრიტიკა კოტე შარაშენიძე სოფლის რწმუნებულების სამსახურში დატოვების გამო. მანვე გააკრიტიკა საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ზვიად კვაჭანტირაძე ოზურგეთში მიმდინარე პროცესებში ჩაურთველობის გამო, ხოლო „ქართული ოცნების“ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით დარჩია კი–საკადრო საკითხების გამო. კოალიცია ერთობლივად უნდა წყვეტდეს საკვანძო საკითხებს.

–მიუხედავად იმისა, რომ განათლებული ქალბატონიალელა იმედაშვილს უფლება არა ქვას უხელმძღვანელოს ოზურგეთის რესურსცენტრს, რადგან იგი „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური სახე იყო–აღნიშნა ნაცვალაძემ.

მანვე ადგილობრივი არჩევნებისათვის მზადებაზეც ისაუბრა.

–ჩვენ გვინდა მეტი სამუშაო ადგილების შექმნა, მეტი ადამიანის დასაქმება, მაგრამ ოზურგეთში ამის მაგივრად კინკლაობა მიმდინარეობს.

–პრობლემა კოტე შარაშენიძე არ არის. პრობლემა ის ადამიანებია, რომლებიც არ ჩანან და ოზურგეთში მიმდინარე პროცესების წარმართველები არიან . ასეთ დროს დუმილი არ შეიძლება–განაცხადა ლელა ნაცვალაძემ.

მუნიციპალიტეტმა შესანიშნავად იცის, ვინ არის ღირსეული, გამოცდილი და პროფესიონალი

ახლა ბევრი ბჭობა მიდის იმის თაობაზე, თუ ვინ რა ნიშნით იქნა შემცირებული. მე პირადად ვთვლი, რომ პოლიტიკური მოტივით დამითხოვეს. არ არსებობს სხვა მიზეზი. ბაზა არ იყო? მერედა ვისი ბრალია!. სპეციალისტი უნდა გაუშვათ იქ, სადაც ბაზაა, და თუ აღსადგენია, უნდა გეზრუნათ. ჩვენს მუნიციპალიტეტში პირიქით იყო ყველაფერი. არასპეციალისტებს ასაქმებდნენ. სპეციალისტს კი ეუბნებოდნენ - ასე სადაა სამსახური!..

დიახ, ბიუჯეტი არ არის საპენსიო ფონდი. იგი სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად უნდა მოხმარდეს დარგის განვითარებას და ამ დარგში ღირსეული, პროფესიონალი ადამიანების დასაქმებას.

მე დიახ, დავუჭირე მხარი ცვლილებებს და ეს მარტო მხარდაჭერით არ გამომიხატავს. არჩევნების დღეებში მაქსიმალური ძალისხმევა გამოვიჩინე, რომ ჩემი წვლილი შემეტანა ამ ამაზრზენი, არაქართული, არატრადიციული, მოჩვენებითი ცხოვრების დასასრულში. რომ ადამიანი სამუდამოდ არ გამოკეტილიყო თავის ოცნებებში, ისე, როგორც დიდი გალაკტიონი იტყოდა სრულიად გულწრფელად: „მშვენიერი ცხოვრება მე ოცნებებში განვიცადე და რაც ოცნებებში განმიცდია, სინამდვილეში მას ეწნება რაიმე ფასი...“

მე არ ვიცი რა ხდებოდა სხვა რეგიონებში. ოზურგეთში ადგილობრივი ბიუჯეტი ნამდვილად აქციეს საოჯახო, სანათესაო, სამოყვრო ბიუჯეტად. ნუ დავიხშობთ ყურებს და ნუ დავიბრმავებთ თვალებს. ამ კუთხითაც გადახედეთ სამსახურებში დანიშნულებს. თანაც მაღალ ხელფასებზე. ბიუჯეტის ამგვარმა ჭენებამ მრავალი დარგი ჩაკლა და უმოქმედო გახადა. კულტურული ღონისძიებები დავიდა აგიტმხატვრული ბრიგადების კონცერტების დონეზე. თავად კულტურის ცენტრი დაემსგავსა უფრო გამართული სოფლის კლუბის მუშაობას. ოგივე ხდებოდა საბიბლიოთეკო სისტემაში. მუხრანისა არ იყოს: „დანაშაული მეტი რა გინდა...“ღვთისგან ბოძებულ ნიჭს რომ ადამიანში ჩაკლავ და გასაქანს არ მისცემ, „დანაშაული მეტი რა გინდა...“

თუ გგონიათ ციხის კადრებზე მეტი იყო ის, რაც გარეთ ხდებოდა.! იქ მალულად ასრულებდნენ ყველაფერს, აქ კი, გარეთ, ღიად დაუფარავად, უტიფრად ჩაწიხლეს უამრავი ადამიანის სულიერება, ნიჭი, ინტელექტი, ერუდიცია.

ხშირად ვფიქრობ, რა იყო ის უბედურება, რომლის დასასრულს ასე ულოცავდა ერთმანეთს ხალხი. რა დროსთან შეიძლება პარალელის გავლება...

ეს იყო ჯაყოობა საქართველოში. უხეში, ტურტლიანი, მოძალადე ჯაყო ამარცხებს ინტელექტუალს თეიმურაზ ხევისთავის სახით. თავად „ჯაყოს ხიზნები“, როგორც დიდი მოღვაწე შალვა ამირეჯიბი იტყოდა, იყო სრული ბოლშევიზმი.

თითქოს ჩემს აუხდენელ ფიქრებსა და იდეებს გამოეხმაურა კულტურის მინისტრი ბატონი გურამ ოდიშარია, როცა თქვა: „ჩემი უპირველესი ამოცანაა, ქალაქად და სოფლად კულტურის კერების აღორძინებაო.“ ვინ იცის, რამდენი წამოწყების ინოვაცია გაიყინა ჩემს გონებაში, როცა მივხვდი, აქ, ამგვარი საქმისთვის არავის ცხელა.

„პირველ რიგში დასაქმდება პატიოსანი, გამოცდილი, საქმის პროფესიონალი ადამიანები“ – ესაა „ქართული ოცნების“ და პირადად მისი ლიდერის ბატონი ბიძინა ივანიშვილის განაცხადი და ნუ მოხდება ამ სიტყვების ძველებურად გადამღერება.

თუ ამ კრიტერიუმით ვიხელმძღვანელებთ, ასე მასიურად აღარავის გაუჩნდება პრეტენზია. პროფესიონალიზმი ის არაა, ყველა მთავრობაში ხვრელები ეძებო. ამას სხვა სახელი ჰქვია და მაინცდამაინც ამ „ტალანტით“ ნუ მოვიწონებთ თავს.

ურემი გადაბრუნდა, გზაც გამოჩნდა და ახლა ყველა გაიძახის - „ჩვენც ქართული ოცნება ვიყავითო“. პრეზიდენტი რომ ძველ დიდებაში იყოს, ამგვარ ნაციონალებს მართლა მიუჩენდა საკადრის ადგილს.

არ უნდა ღია კარის მტვრევა. ყველამ შესანიშნავად იცის, ვინაა ღირსეული, გამოცდილი და საქმის მცოდნე. სწორედ ამ და სხვა მრავალი დანაპირების ოცნებიდან რეალობაში გადასვლაზე იქნება დამოკიდებული „ქართული ოცნების“ უახლოესი პერიოდის ნათელი მომავალი.

ოლიკო კობალავა.

ოზურგეთი-ნატანების გზაზე მოძრაობა სახიფათო გახდა

ნუგზარ ასათიანი

– ბოლო 4 თვის მანძილზე ეს ოცდამეთორმეტე ავარიაა გზის მხოლოდ ამ ასმეტრიან მონაკვეთში. 24-საათის განმავლობაში ამუშავებენ ამ საწყალ მძღოლებს, დასვენება მაგათ არ აქვთ და ძილი –აღშფოთებას ვერ მალავდნენ მერიელები და ჭირისუფალივით თავზე ადგნენ გზისპირას თხრილში ამოყრავებულ მძიმეწონიან „მაზს,“რომლის მძღოლი სასწაულებრივად გადარჩენოდა სიკვდილს.

–ავარია 22 თებერვალს ღამით, სოფ. ნალობილების მისასვლელთან, მდ. ბოგილას ხიდდთან ახლოს მოუვიდა „მაზის“მძღოლს. ამ მონაკვეთში მძიმეწონიანმა ავტომანაქანებმა გზა საგრძნობლად დააზიანეს. ქვა-ღორღით დატვირთულ ავტომანაქანას შემხვედრმა ტრანსპორტმა მაშუქები არ ჩაუქრო. მძღოლმა მარჯვნივ აიღო საჭე, დაზიანებულ გზაზე მოცურდა, თხრილში გადავარდა და ამოყრავდა...

მიზეზი? გზის ცუდი მდგომარეობა და შეკვეთილი-ქობულეთის მშენებარე მაგისტრალზე დასაქმებული ათეულობით მძიმეწონიანი ავტომანქანების მიერ ტვირთის გადაზიდვის დადგენილი წესების უგულვებელყოფაა.

–წესებს ბევრი არ იცავს, მაგრამ განსაკუთრებით ის მძღოლები სცოდავენ, რომლებიც ჩინურ კომპანიასთან აქვთ ხელშეკრულებები გაფორმებული. ამას წინათ ჩინელი ზედამხედველი უყვიროდა მძღოლს, რატომ პირთამდე არ არის სავსე ძარა, არადა ავტომანქანას დიდი ტვირთი ჰქონდა მიტანილი.

– მარტო ჩინელმა მშენებელმა მდინარე ნატანების აუზიდან 1 300 000 კუბური მეტრი ქვა-ღორღი უნდა ამოიღოს. მილიონი უკვე ამოიღო და ახლა გაასხენდათ გზას რომ ანგრევენ ჩინური ფირმის მანქანები–კითხულობენ მერიელები...

–გურია დაბალი ღობე გახლდათ ცენტრალური ხელისუფლებისათვის. ხედავთ ჩინელი და თურქი მშენებლები ელემენტარულ წესებს უგულვებელყოფენ, რომელთა დაცვა გამორიცხავდა ტრანსპორტის სარისკო გადატვირთვას, სარკინიგზო გადასასვლელის დაზიანებას, საგზაო მაგისტრალის დანგვიანებას და განადგურებას. ცალკე თემაა მდინარე ნატანების აუზისადმი ვანდალური დამოკიდებულება, რაც მდინარის კალაპოტის შეცვლას და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიტაცებას იწვევს. სხვას რომ თავი დავანებოთ, გასული წლის ოქტომბერში მდინარე ნატანებზე გადებული მერია-ლაითურის 6-მალიანი ხიდის მწყობრიდან გამოსვლა მოჰყვა, რომლის აღდგენას (ახლის მშენებლობას) სულ მცირე სამი მილიონი ლარი სჭირდება.

ამ თემაზე კომენტარი ოზურგეთი-ნატანების გზის მშენებელს შპს „გზამშენი 18“-ის უფროსს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატს **თემურ ჯაჩვას** ვთხოვეთ:

–შეკვეთილი-ქობულეთის ავტობანს ჩინური კომპანია „სინო ჰიდრო“აშენებს. ამ მობილიზებული ჰყავს მძიმეწონიანი მანქანები, რომლებიც ინერტულ მასალას ეზიდებიან მდ. ნატანების აუზიდან. დადგენილი წესით ამ ავტომანქანების ღერძზე დატვირთვა 10 ტონაზე მეტს არ უნდა შეადგენდეს. ამ დროს ამ ავტომანქანების 15-17 კუბური მეტრი ქვა-ღორღი გადააქვს. ავტომანქანის წონა ტვირთთან ერთად დადგენილ ნორმაზე 50-60 პროცენტით მეტია.

–ოზურგეთი-ნატანების გზის რეაბილიტაციის სამუშაოები 4 წლის წინ ჩატარდა. არ იყო გათვლილი ეს გზა მძიმეწონიან მანქანებზე?

–როგორც გითხარით, მძიმეწონიან მანქანებზე ღერძზე დატვირთვა 10 ტონაზე მეტს არ უნდა შეადგენდეს. სწორედ ეს მონაცემები იყო გათვალისწინებული გზის მშენებლობა-რეაბილიტაციისას. ასეთი დატვირთვა არ იყო გათვალისწინებული და შედეგი სახეზეა. გურიანთა-ნატანების გზის 13-კილომეტრიანი მონაკვეთი ძალიან დაზიანებულია. მსგავს მდგომარეობაშია ნატანები-ჩოლოქის გზის 5-კილომეტრიანი მონაკვეთიც.

–რა მექანიზმები შეუძლია ამოქმედოს ხელისუფლებამ?

–მდინარის აუზში ამოღებულ ინერტულ მასალას პირდაპირ ავტომანქანაზე არ უნდა ჰყრიდნენ. ჯერ უნდა მოხდეს ინერტული მასალის ამოღება-დასაწყობება. ხრეში უნდა დაშტაბელონ. ამის შემდეგ უნდა დატვირთოს ავტომანქანაზე. დატვირთული ავტომანქანა უნდა აიწონოს სპეციალურ სასწორზე და უნდა მოხდეს ავტომანქანის დასვრილი ნაწილების გარეცხვა, რაც არ ხდება და სავალაო შედეგს ვიღებთ. ამ გზის რეაბილიტაციაზე სახელმწიფომ 5 მილიონი ლარი დახარჯა. 4 სანტიმეტრი სისქის ასფალტის ახალი ფენა დაიგო. გზა თითქმის მწყობრიდან გამოიყვანეს. ამ სამოდე კვირის წინ გზის ორმული შეკეთება განვახორციელეთ. რამდენიმე დღეში შეკეთების კვალი წაშალეს ამ ავტომანქანებმა.

–ვის ევალება ამ საკითხის მონიტორინგი?

– მძიმეწონიანი ავტომანქანებზე წყალწმინდა-ფოთის მიმართულებით მონიტორინგი ტარდება, საკონტროლო საწორიც უდგათ. იქ სატვირთო ავტომანქანაზე 100 კგ. ზედმეტი ტვირთი რომ იდოს ათასლარიან ჯარიმას ამოუწერენ. ანალოგიურად უნდა ხდებოდეს ჩვენთანაც. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურს ხელისუფლებამ უნდა მისცეს სათანადო რწმუნება.

–შეიძლება თუ არა მერია-ლაითურის ხიდის რეაბილიტაცია?

–არა, ამ ხიდის რეაბილიტაცია უკვე შეუძლებელია. იქ ახალი ხიდი უნდა აშენდეს...

–ბატონო თემურ, ჩვენი ინფორმაციით შეკვეთილი-ქობულეთის მშენებარე ავტომაგისტრალზე ჩინურ კომპანიას პროექტით ანაფეთქები კლდოვანი გრუნტი უნდა გამოეყენებინა. რას გვეტყვით ამის შესახებ?

–ჩემგან უხერხულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ამაზე პასუხი ხელისუფლებამ უნდა გაგცეთ.

„როცა ჩემი ქვეყნის ცას ავხედავ, საქართველოს ცა გამახსენდება...“

ნინო ნიკოლაიშვილი

21 თებერვალს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ დვაბზუს **EVS** „ძიძლები და გამგზავნი სამოქალაქო ინიციატივის“ მოხალისეები სტუმრობდნენ. ინგლისის, საფრანგეთის, პოლონეთის, ჩეხეთის, სლოვალეთის, დანიის, ფინეთის, ლიტვის, ხორვატიის მოხალისეთა მასპინძელი გახლდათ არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ (ხელმძღვანელი ქეთევან ხიდაშელი).

სათაო ორგანიზაციასთან კოორდინირებას ოზურგეთის სტუდენტურ ახალგაზრდული სათათბირო უწევდა (ხელმძღვანელი კახა ლომაძე).

მოხალისეებს ქეთევან ხიდაშელმა მათი ორგანიზაციის მიერ შესრულებული სამუშაოები გააცნო, რომელსაც სიამოვნებით თარგმნიდა კახელი სტუმარი ნანა ბეგალიშვილი.

მოხალისე სტუმრებმა დათვალიერეს სოფელი, მონახულეს და მოიწონეს დვაბზუს ეკლესიის ეზოს სამუშაოები, დათვალიერეს სკოლის შენობა, შემდეგ შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ეროვნულ სამზარეულოს დაგემოვნების შესაძლებლობები მიეცათ. თავადაც მიიღეს მონაწილეობა ხინკლის მოხვევაში. განსაკუთრებით მოიწონეს გოზინაყი, ჩურჩხელები და რაც მთავარია, ქართული სუფრის ხიბლი. ქართული სიმღერები, რომელიც იქვე სახელდახელოდ შესრულდა.

–– სოფელში ხალხი სულ სხვა პირობებში ცხოვრობს. შეშფოთებული ვარ იმითი, თუ როგორ პირობებში უწევთ ბავშვებს სწავლა. თუმცა აქ ძალიან კარგი ადამიანები არიან და მასპინძლობაც საუკეთესო იციან. გურულმა მასპინძლობამ და მუზეუმის (დირექტორი ნინო ჯაველიძე) საუკეთესო გარემომ რომანტიული განწყობა მოჰგვარა პოლონელ სტუმარს, იადვიდა მისტაკს – მე ამ ცას და ჩიტებს რომ ვუცქერ, მახსენდება ჩემი ქვეყნის ცა და იქაური ჩიტები. როცა ჩემი ქვეყნის ცას შევხედავ, გურიის ცა და ულამაზესი გარემო დამიდგება თვალწინ. მადლობა თქვენ ამისთვის. მე ვხედავ, რომ მასპინძელ ორგანიზაციას დიდი ძალისხმევა და შრომა აქვს ჩადებული არა მარტო დღევანდელი დღის, არამედ ყველა იმ პროექტის განხორციელებაში, რაც ჩვენ აქ ვნახეთ.

მიბაბაძი წარსული და მადლიერი შთამომავლობა

სოფ. ლიხაურის კულტურის სახლში ფართო საზოგადოებისათვის მოეწყო შესანიშნავი მამულიშვილის, ბატონ რეზო თაბუკაშვილის ფილმის „საქართველოს მეჯურჭლეთუხუცესის“ ჩვენება.

ფილმი ეძღვნება სოფ. ლიხაურის მკვიდრის, საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულ ექთიმე ღვთისკაცის, ერისკაცობაში ექთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ფილმში ძირითადად ემიგრაციაში ყოფნის წლები და საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მთავრობის მიერ საფრანგეთში გატანილი ქართული ეროვნული საგანძურის დაცვასა და მოვლა-პატრონობის, განძის სამშობლოში დაბრუნების ისტორიაა ასახული.

მისასალმებელია, რომ ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ მადლიერი ახალგაზრდა ადამიანები: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი სოფიო გორდელაძე და ლიხაურის კულტურის სახლის ხელმძღვანელი ვახტანგ ვაშაყმაძე. კიდევ უფრო მისასალმებელი და სახისარულია ის ფაქტი, რომ ღონისძიებას მრავლად დაესწრო ახალგაზრდობა, მათ შორის ლიხაურის საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომელთა საფუძვლიან გათვითცნობიერებას საქართველოს ისტორიაში, მათ აღზრდას ზნეობრივი გმირობის მაგალითზე ქართული ტრადიციების ერთგულებითა და პატივისცემის გრძნობით, უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა აქვს.

ლიხაურში მოწყობილმა ღონისძიებამ კიდევ ერთხელ დაანახა დამსწრე საზოგადოებას, რომ „არდავიწყება მოყვრისა, არასდროს გვიზამს ზიანსა.“

ყველას ვალია საფუძვლიანად გავიზიაროთ დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ის თავის ისტორიას ივიწყებს.“

თანამედროვე ეტაპზე, როდესაც მსოფლიო გლობალიზაციის ქარიშხალი წალეკვით ემუქრება ყველას და ყველაფერს. საქართველოს ისტორიის გახსენება და ღირსეული მამულიშვილების ღვაწლის წარმოჩენა, ეროვნული ღირებულებებისადმი ერთგულების გრძნობით ახალგაზრდობის აღზრდა, უმნიშვნელოვანესი ხელმშემწყობი ფაქტორია საქართველოს თვითმყოფადობის შენარჩუნების მუტად რთულ გზაზე.

რაც შეეხება ჩემს მოკრძალებულ დამოკიდებულებას ბატონი ექთიმე თაყაიშვილის ღვაწლისადმი, იგი შეძლებისდაგვარადაა გამოხატული ლექსში:

უნდა იცოდე

შენ ჩვენი შთამომავლობავ
უნდა იცოდე ვინ არი,
ქვეყნის ერთგული კაი ყმა
სამშობლოს დასაფიცარი.
ილიას თანამებრძოლი
მართლა არ დასავწიყარი
ერმა და ბერმა უწოდა
წმიდა ექთიმე ღვთისკაცი.

მადლობა ყველას, ვინც იდგა, ახლაც დგას და მომავალშიც დადგება ქართული ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე, ვისთვისაც უძვირფასესი საუნჯეა მამული, ენა, სარწმუნოება. და ვისაც წარსულისადმი ნდობა, მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობა და მოვალეობა გაჩნია.

ომარ ბაკურაძე.

„დაიმახსოვრეთ ეს ბავშვი...“

ნინო ნიკოლაიშვილი

ამ სიტყვებით გაცნო საზოგადოებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის მოსწავლე **ნინო გორდელაძე** გალერეის დირექტორმა **ავთანდილ თავართქილაძემ** სახვითი ხელოვნების ცენტრ-სურათების გალერეაში გამართულ გამოფენა-კონკურსზე „ზამთრის ვერნისაჟი“. ნინომ მაშინ გაიმარჯვა ნომინაციაში „გალერეის რჩეული“.

ამ საპატიო ნომინაციას კიდევ ერთი სასიხარულო ჯილდო შეემატა. ნინოს სპეციალური დიპლომი ჩამოუვიდა ჩეხეთის ქალაქ ლიდიცედან, სადაც ყოველწლიურად იმართება 4 დან 16 წლამდე ასაკის ბავშვთა ნამუშევრების კონკურსი. „ლიდიცე-2012 “რიგით 40-ე კონკურსში ნინომ გასულ წელს მიიღო მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ კონკურსში საქართველოდან მონაწილე შესაბამისი ასაკის 200 ბავშვს შორის 5 ბავშვის მონაცემები შევიდა კონკურსის კატალოგში. რეგიონებიდან ერთადერთი ნინო გორდელაძე გახლდათ. დანარჩენი ოთხი ბავშვი თბილისის სამხატვრო სკოლებიდან არიან წარმოდგენილნი.

ნინო მოტივირებული, ნიჭიერი, წყნარი, შრომისმოყვარე გოგონაა, ასე ახასიათებენ მას სამხატვრო სკოლაში.

კახა ვასაძე, სამხატვრო სკოლის დირექტორი: – როცა ნინოს თავიდან გავესაუბრე, ნაკლებად საუბრობდა. მერე თანდათან გაიხსნა. ახლა იგი ინოვაციური იდეების განმახორციელებელია. წარმატება, რომელიც ნინომ დაიმახსოვრა, უდაოდ დიდია და საამყო და არა მარტო ჩვენი სკოლისთვის.

გოგონა ხშირად იღებს მონაწილეობას როგორც შიდა, სასკოლო, ასევე რაიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებსა და კონკურსებში. სადაც არაერთი წარმატება და შესაბამისი დიპლომები და სერთიფიკატები დაიმახსოვრა.

ნინო არის სამხატვრო სკოლის თოჯინების თეატრის „მულტი-პულტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, სპექტაკლების შემქმნელი და მონაწილე. ამზადებს სუვენირებს, სამკაულებს, თოჯინებს.

იგი ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეა. სკოლაში მას ხატვას ნინო ჭელიძე ასწავლიდა, გალერეაში ჯერ ნატო ყალიჩავა, ამჟამად კი მისი მასწავლებელი ავთანდილ თავართქილაძეა.

ხატვა 6 წლიდან დაუწყია. მისი პირველი გულშემატკივრები ოჯახის წევრები, განსაკუთრებით კი დედა და მამიდა, უფროსი ნინო გორდელაძე გახლდათ. რომლებიც ახლაც გვერდით უდგანან გოგონას. არ არის ადვილი დღევანდელ პირობებში თუნდაც სახატავი მასალის ან მისთვის საინტერესო ლიტერატურის შეძენა. გოგონა მადლიერებას გამოხატავს მისი ახლობლების მისამართით, განსაკუთრებით საუბრობს ოთარ ბოლქვაძის სიკეთეზე, რომელიც საკმაოდ ძვირადღირებულ ლიტერატურას უგზავნის მას.

სარვამარტოდ გალერეაში ორი ცნობილი პიროვნების ხელოვან სულიკო ლომჯარიასა და ლია მოლარიშვილის ნამუშევრებთან ერთად გამოიფენება ნინო გორდელაძის ნამუშევრები.

წარმატებები სასიხარულო და საოცნებოა. თუმცა აქვს ნინოს კიდევ ერთი ოცნება - ჰქონდეს საკუთარი კომპიუტერი–ნოუთბუქი, რომელიც წინა ხელისუფლებისთვის, თუ სხვადასხვა პიროვნებებისთვის არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, ჯერ-ჯერობით არავინ შეუსრულა.

ახალი წიგნი

ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ნოდარ დონაძის ახალი ლექსების კრებულის „ჩემი პოეზია - სულის სიმფონია“ პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიებას თამარ ბილიხოძე უძღვებოდა. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ლიკა ბაქანიძემ წიგნის თემატიკაზე ისაუბრა. ღონისძიებას ესწრებოდა სტუმრები შვეიცარიის განვითარების სააგენტოდან.

ნოდარ დონაძის შემოქმედებაზე ისაუბრეს: როლანდ თავაძემ, გურამ ღლონტმა, არსენ კეკენაძემ, ზინა სალუქვაძემ, ნუგზარ ასათიანმა, რუსუდან ცეცხლაძემ, ნინო ნიკოლაიშვილმა. საკუთარი ლექსი წაიკითხა მურმან დუნდუამ. ღონისძიებაზე წაიკითხეს ამირან მამულაშვილის ლექსი, რაც საიუბილეოდ მიუძღვნა მეგობარს. ღონისძიებაზე მუსიკალური ნომრები შეასრულეს ვაჟთა ანსამბლმა, რომელშიც მღერის ნოდარ დონაძის შვილიშვილი პატარა ნოდარ დონაძე (ხელმძღვანელი ჯემალ ჭელიძე); ხალხურ საკრავთა ორკესტრმა „ედელვაისი“ (ხელმძღვანელი გიორგი ჩიხლაძე). საყვარელ ბაბუას სიმღერები და მისივე ლექსები წაუკითხეს შვილიშვილებმა.

ზემოთხსენებული კრებული ნოდარ დონაძის მეოთხე წიგნია. მათ შორის აღსანიშნავია ნაშრომი „თხინვალი და თხინვალელები“. კრებულში მოცემული ძველი, თუ ახალი ლექსებით, პოეტი ეფერება თავის მშობლიურ კერას, ბავშვობას, დედულეთს, მშობლიურ სოფელს, გურიას, საქართველოს. ეფერება ოჯახის წევრებს, მეგობრებს, სიკეთის ქმნის სურვილსა და მცდელობას. აღწერს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა საფეხურს და მის დამოკიდებულებას. ამისდა მიხედვით მატულობს პესიმიზმიც და ბედთან შეგუებისა თუ წინააღმდეგობების მცდელობაც, თუმცა ერთადერთ გამოსავლად ავტორი იმ გზას ხატავს, რასაც ადამიანი მართალი საქმით გაივლის მხოლოდ.

„ალიონელი“ მეგობრები ვულოცავთ ნოდარ დონაძეს ახალი წიგნის გამოსვლას, დაბადებიდან 75 წლის იუბილეს. ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებებს. სიკეთესა და მრავლობას თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

ღმერთმა იმედი ნუ მოგვიშალოს

ცხოვრების გზაზე ხალისით დავალ
იმედის შუქი მინათებს ოდეს,
არყოფნისათვის მე ჯერ მზად არ ვარ
ღმერთით იმედი არ დამკარგოდეს.
არ ღირს სიცოცხლე უიმედობით,
იმედით ვიყოთ, არის მთავარი
იმედან კაცს ყველას ვენდობი,
იმედი არის სულის ჯავარი.
ბაღში ვშრომობ, თუ ვფიქრობ, ვოცნებობ,
ყოველთვის მახსოვს, რაც ძველებს უთქვამთ,
რომ კაცი კაცის იმედით ცოცხლობს
და ერთმანეთის იმედით სუნთქავს.
იმედი არის სიცოცხლის წყარო,
იმედით ვლეწავთ ცხოვრების კალოს,
ხვალინდელი დღის იმედით ვხარობთ,
ღმერთმა იმედი ნუ მოგვიშალოს.
იმედი არის დღის მეკვლე ჩვენი,
იმედიანად განვლიოთ დღენი.

მურმან დუნდუა

„ჩემი ხალხის სიყვარულით და მომავლის იმედით“

ასე აჯამებს ლექსების მესამე კრებულის შესავალში თავის განვლილ გზას პოეტი, გადამდგარი პოლკოვნიკი მურმან დუნდუა. სამი კრებულით და 460 ლექსით ხვდება დღევანდელ დღეს.

„აბა რა გითხრათ, რით გაგახაროთ,
სიბერე მიდგას კვალში...
ასე მგონია, ლექსის წინაშე
არ დავრჩენილვარ ვალში.
„თეთრი და შავი საშკარაოზე გამოვიტანო, ადამიანებს შევაყვარო ერთმანეთი... ისინი უფრო უკეთესნი და კეთილნი გავხადო... სხვა მიზანი არა მქონია რა.

სანდორას ყუთში ჩარჩენილი იმედით შევყურებ ქვეყნიერებას... ეგებ მოხდეს სასწაული და აღვადგინოთ ტერიტორიული მთლიანობა ჩვენი გატანჯული სამშობლოსი...“–ამბობს პოეტი.

გთავაზობთ მის ახალ ლექსებს:

„აბა მუჭო“

ჩვენ ცხოვრებას ახალს შევქმნით,
„აბა მუჭო.“
გავაბრწყინებთ კაშკაშა მზით,
„აბა მუჭო.“
აფხაზეთს და სამაჩაბლოს დავიბრუნებთ,
„აბა მუჭო.“
ყველა ლტოლვილს ძველ კერიებს დავუბრუნებთ,
„აბა მუჭო,“
„აბა მუჭო,“ „აბა მუჭო.“
ქვეყნის მტერს და მოღალატეს არ დავინდობთ,
„აბა მუჭო.“
ყველა ორგულს ჩავქოლავთ და დავამიწებთ,
„აბა მუჭო.“
ტაძრებს ახალს ავაშენებთ,
„აბა მუჭო.“
კარმიდამოს დავამშვენებთ
„აბა მუჭო,“
„აბა მუჭო,“ „აბა მუჭო.“
კაცურ შრომით შევქმნით დოვლათს,
„აბა მუჭო.“
დავაგროვებთ დიდძალ ხორაგს,
„აბა მუჭო.“
პენსიებს და სტიპენდიებს გავადიდებთ,
აბა მუჭო.“
ყველა ღარიბს მოკლე დროში გავამდიდრებთ,
„აბა მუჭო,“
„აბა მუჭო,“ „აბა მუჭო.“
ქვეყანაში ხალხის ძმობაც განმტკიცდება,
აბა მუჭო.“
რისგანც მტერი შეიშლება, გაგიჟდება,
„აბა მუჭო.“
შიმისაგან მოკურცხლავს და გაიქცევა,
„აბა მუჭო.“
საქართველო აღდგება და გაბრწყინდება,
„აბა მუჭო,“
„აბა მუჭო,“ აბა მუჭო.“
ასეთი მაქვს უტყუარი წინათგრძნობა,
„აბა მუჭო.“
მორთალს ამბობ, ჩემო ენავ, ჩემო ტუჩო,
„აბა მუჭო,“
„აბა მუჭო,“ „აბა მუჭო.“

ჩიტი

ჩემს ოჯახში შემოფრინდა ჩიტი
და დასკუპდა ჩემს საწოლთან ახლოს,
ამბავი აქვს მოტანილი ვიცი,
მე გაფრთხილებთ, ხელი არვინ ახლოს.
ჯერ ვერ ვხდები, რას მიყვება ეგი,
ჟღურტულებს და თავსაც ბრძნულად
აქნევს.
ფრთასაც მიქნევს, თითქოს იყოს თითი,
შავ თვალებსაც სანთლებივიც ანთებს.
რა ამბავი მომიტანა, ნეტავ?
ვისგან არის, ნეტავ მოგზავნილი?
ვრწმუნდები და თვალნათლივად ვხედავ,
საიდუმლო აქვს მას გასამხელი.
ალბათ მალე მიმახვედრებს ეგი,
დახე, როგორ მიპაჭუნებს თვალებს,
მიდი, ჩემო ჩიტუნიავ, მიდი,
თქვი და შენთან მეც ხომ გავიხარებ.

დედის მონატრება

როცა დედა ავად გახდა,
დასუსტდა და გაილია,
ასე მითხრა გამხნევდიო,
ნავთი ჭრაქში დაილია.
ჩუმად, წყნარად გაგვეპარა,
წასვლის წინ კი ყველა გვლოცა,
დავიხარე, ვეამბორე,
ცივი ტუჩით მან მაკოცა.
წლები, წლები სწრაფად გაშპა,
დედი, შენი ხნისა ვხდები,
თვალში ცრემლი აღარ გაშრა,
უსაშველოდ მენატრები.

ვულოცავთ!

თხინვალის საჯარო სკოლის მასწავლებელს, ღირსეულ პიროვნებას, პოეტსა და ლოტბარს, უკვე მეოთხე წიგნის ავტორს ნოდარ დონაძეს ვულოცავთ დაბადებიდან 75 წლისთავს და ახალი წიგნის გამოცემას. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პროფესიულ თუ შემოქმედებით წარმატებებს.

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის

ვულოცავთ!

ბაბუასათვის შვილიშვილები სიხარულთა სიხარულია, ფუძეჭერის ძლიერება და მომავლის იმედი.

ეს იმედი მოგვივლინა უფალმა ჩემი პირველი შვილიშვილით პირველ მარტს, გაზაფხულის პირველ დღეს თხუთმეტი წლის წინათ.

კობა ბაქანიძე, მერიის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე, სიმღერისა და ცეკვის სიყვარულით აღსავსე, ქართულ ხალხურ საკრავთა მომფერებელი, უკრავს ხალხურ საკრავთა ორკესტრში (ხელმძღვანელი გიორგი ჩიხლაძე); არის ანსამბლ „იადონის“ საპატიო წევრი. ბაბუას სიყვარულს და სიცოცხლის ხალისს ჩემს კობას ვულოცავ დაბადების დღეს. 15 წელი ბავშვობიდან დიდობისკენ სავალი გზის დასაწყისია. გისურვებ ღირსეულად გევლოს ამ გზაზე უფლისმოყვარეობით, შენი ერის, მოყვასის სიყვარულით გულსავსეს.

ბაბუა ძიმა ბაქანიძე

კულტურის ცენტრი გურული მარგალიტების ძიებაში

ოზურგეთის მუნიციპალური კულტურის ცენტრი უახლოეს მომავალში აპირებს წიგნის გამოცემას სახელწოდებით „გურული მარგალიტები“, რომელშიც შესული იქნება სოფლებში მოძიებული ყბისსაქცევები, შელოცვები, ლეგენდები და ა.შ.

კულტურის ცენტრის ფოლკლორის განყოფილებამ უკვე აქტიური მუშაობა დაიწყო ამ კუთხით. სწორედ ამ დღეებში მოხდა პირველი გასვლა სოფელ მაკვანეთში, სადაც ჩაიწერა ხალხური მთქმელები, რევაზ (ცუცქუ) ჭანუყვაძე და ოთარ ბაბილოძე.

ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მოპოვება ხდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში.

კულტურის ცენტრის პრესსამსახური

მომხმარებელთა საყურადღებოდ

ექადიაზე, ყოფილი მანქანათშენებლობის ქარხნის ადმინისტრაციული შენობის გაგრძელებაზე გახსნილის მეტალოპლასმასის საამქრო, სადაც მომხმარებლისთვის მისაღებ ფასებში ვამზადებთ მეტალოპლასმასის კარ-ფანჯრებს.
საუკეთესო სპეციალისტები საუკეთესო მასალით თქვენთვის მისაღებ დროში შეასრულებენ თქვენს შეკვეთას.
გვეწვიეთ, კმაყოფილი დარჩებით.
მისამართი: ქ. ოზურგეთი, თაყაიშვილის ქ.№74; ტელ: (593)97 59 39; (599) 19 52 71; (593) 28 21 19.

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ნარუჯის საჯარო სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარეს შორენა სიხარულიძეს მეუღლის **ამირან ვასილევის** გარდაცვალების გამო.

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს მელექედურის საჯარო სკოლის დირექტორს ნათელა თოხაძეს უსაყვარლესი ძმის **ილია თოხაძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ქალბატონ ნათელა თოხაძეს ძმის, **ილია თოხაძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე